თბილისის ლანდშაფტური ზონირება და წყალმომარაგების პრობლემები

ირაკლი მიქელაძე

ელ-ფოსტა: Irakli.Mikeladze0064@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

სამაგისტრო ნაშრომში "თბილისის ლანდშაფტური ზონირება და წყალმომარაგების პრობლემები" განხილულია საქართველოს წყალმომარაგების ზოგადი გეოგრაფიული თავისებურებები, წყლის რესურსები და მათი ხარისხის მონიტორინგის ფორმები. სასმელი წყლის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და ადამიანის მიერ სასმელად უვარგისი წყლის მოხმარების შემთხვევაში მიღებული შესაძლო შედეგები.

ნაშრომში ხაზგასმული და დახასიათებულია ყველა ის ლანდშაფტური ზონა, რომელსაც თბილისი მოიცავს. ზონები განხილულია ისეთი ასპექტებით, როგორიცაა კლიმატი, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის სიმჭიდროვე, მცენარეული საფარი და სხვა. წარმოჩენილია თბილისის ლანდშაფტის დაცვის ფორმები.

გარდა ამისა, ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს უშუალოდ თბილისის წყალმომარაგების გეოგრაფიულ თავისებურებებზე. იმ კონკრეტულ რესურსებსა თუ ლოკაციებზე, საიდანაც დედაქალაქზე წყლის მიწოდება ხდება. ხაზგასმულია თბილისის წყალმომარაგებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.